საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ორშაბათი, 26 მაისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 115

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ჰღირს 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 მანეთი. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

აპოლო

საქართველოს დამოუკიდებლობის გამო, 26 მაისს, დემოკრატიის ამ დიდი კულტურული დღესასწაულის აღსანიშნავად თეატრ აპოლოში დადგმულ იქნება შემდეგი სურათები:

1) სახალხო გვარდიის დღე საქართველოს დედაქალაქში, 12 დეკ. 1918 წლისა.
2) დღესასწაული დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს.
3) „ქრისტინე“ დრამა 4 მოქმედებად, გადმოკეთებული ეგნატე ნინოშვილის მოთხრობიდან (სცენა რეჟისორ ალ. წუწუნავასი, გამოცემა გერმან გოგიტიძისა). (1—1)

სადგურის (ტრამვაი) რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი მწუხარებით აუწყებს მთავარს, რაიონულს, საგუბერნიო და სამაზრო სახალხო გვარდიის შტაბებს სახალხო გვარდიელის ამხ.

დიმიტრი თედორეს ძე ნაკაიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარი ბინიდან, [illegible] ქუჩა № 22, მე-10 სამილიციო ნაწილი. დასაფლავება საძმო სასაფლაოზე—სამშაბათს 10 საათზე.

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, -თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი სამხედრო ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

„დარჩნენ რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლათ მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა; სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

ისტორიული დღე

(1918 წლის 26 მაისი)

ნოე ჟორდანიას სიტყვა.

ამ დღეს ამიერ-კავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ სასახლის თეთრ დარბაზში გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს კრება. ნაშუადღევის 4 ს. და 50 წ. საბჭოს თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ, გახსნა რა კრება, შემდეგი სიტყვით მიმართა დამსწრეთ:

„მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიული, იშვიათი და ამავე დროს ტრაგიკული აქტისა.

„ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა, ამავე დარბაზში ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს.

„ამ ორი სახელმწიფოთა შორის, რომელთაგანაც ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა. და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა (ტაში).

„საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთი ერის, არც ერთი ხალხის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

„მისი მიზანია—დღევანდელ ისტორიულ ქარტეხილისაგან დაიფაროს თავისი თავი. და როცა ამას მოახერხებს იგი, დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდ განსაცდელში (ტაში).

„თქვენ კარგად იცით, რომ საქართველო ჩვეულია ბრძოლას თავისი არსებობის დასაცველად. ის საუკუნოებით იბრძოდა, რათა თავისი სულიერი ვინაობა, ნაციონალური ორგანიზმი და ტერიტორია შეენარჩუნებინა, მაგრამ იგი იბრძოდა მხოლოდ თავის თავის დასაცავად.

„ამასთანავე, იგი იბრძოდა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ იმ ერებისათვისაც, რომელნიც მოსახლეობდნენ მის სახელმწიფოებრივ ფარგლებში.

„მეტსაც ვიტყვი, ის იბრძოდა თავის ფარგლების გარეშეც, აგრეთვე სხვების დასაცველად.

„ეს დიადი ისტორიული მაგალითი ცხოველმყოფელ ანდერძად დარჩა ქართველ ხალხს და ეს სრული გარანტიაა იმისა, რომ დღევანდელ ქართველ ერს შერჩენილი აქვს მისი ძირითადი ისტორიული მიდრეკილება—შეუსაბამოს ხოლმე თავისი ინტერესი სხვა ერთა ინტერესებს.

„სწორედ ამიტომ, არც ერთი ერი, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები, თუ ჩვენს სახელმწიფოს გარეშე მყოფი, არ უნდა განიცდიდეს ჩვენგნით რაიმე [illegible], სულიერ მტკივნეულობას და წყენას.

„და განა დღეს სეიმში არ განაცხადეს სხვადასხვა ორატორებმა, რომ არ არის ისეთი ერი, რომელიც ცუდად იხსენიებდეს ქართველ ერსო? ეს არის იმის თავმდები, რომ ახალი სახელმწიფო, ახალი მთავრობა სავსებით გაამართლებს ამ იმედებს.

„ჩვენ გვსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეშე და ჩვენში მყოფ ერებთან.

„ჩვენ მივაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას იმ ერის დიდ ტრაგედიას, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე სცხოვრობს, ხოლო მეორე ნაწილი—ჩვენს გარეშე.

„ეს არის სომხობა.

„ძველს ანდერძს დღევანდელი ქართველობაც გაიხსენებს და სომხის ერი იმავე მფარველობას ჰპოვებს ჩვენში, რომელსაც ჰპოვებდა იგი ქართველ მეფეთა შორის. (ხანგრძლივი ტაში).

„ჩვენ გვსურს კეთილგანწყობილებაში ვიყოთ ამიერ-კავკასიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან — მუსულმანებთან. ჩვენ გვინდა, რომ მათ მოეწყობოდნენ, დაიარსონ აგრეთვე სახელმწიფო და შეერთების ხელი გაგვიწოდონ (მხურვალე ტაში).

„ამასთანავე, ეს მეგობრული დამოკიდებულება ჩვენს გარშემო მყოფ ერებისა, იქნება უფრო მკვიდრი საფუძველი, რომელიც გაამაგრებს ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს და აგრეთვე ამ ერებსაც და საშუალებას მოუსპობს ჩვენს საერთო მოქიშპეთ წილი ჩაგვცენ და დაგვანგრიონ.

„ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში მოსახლეობს სხვადასხვა ერთა უმცირესობა. ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა,—ქართველობა. „ეს ერნი,—შეერთებულნი ერთის დროშის ქვეშ, შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომელნიც ჩვენი ქვეყნის ფარგლების გარეშე იმყოფებიან და ამით წარმოიშვება ის სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ, ჩვენს წინაშე, დაღუპულს სახელმწიფოს.

„ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერატიული კავშირი (ხანგრძლივი ტაში).

„ამრიგად, ჩვენი სავალი გზა, ჩვენი იდეალი უნდა იყოს ამ კავშირის შედგენა. ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი,—სახელმწიფოთა კავშირი,—რომელიც საერთო ძალღონით შეკრებილი, მთლიანი წარსდგება გარეშე მტრის წინაშე და დაიცავს თავის თავს. (ტაში).

„აი, მაშინ შეიძლება აღსრულდეს ის, რაც სეიმმა ვერ შექმნა.

„და ის, ვინც ახლა შეუგნებლად მიდის ამიერ-კავკასიის ფარგლების გარეშე,—შესაძლებელია, კვლავ მობრუნდეს და საერთო დროშას ქვეშ დადგეს.

„ამით დამყარდება ამიერ-კავკასიის ერთობა და ამ [illegible].

შემდეგ ამისა ნ. ჟორდანიამ წაიკითხა დამოუკიდებლობის აქტი.

26 მაისი

დღეს ერთი წელია საქართველოს დამოუკიდებლობის. ერთი წლისაა ჩვენი რესპუბლიკა. ერთი წლის გამოცდილება და ისტორია აქვს ჩვენს პატარა ქვეყანას.

და ახლა შეგვიძლია რამდენიმეთ მაინც გავაკეთოთ საერთო დასკვნა ამ განვლილი ხანისა. ისტორიული დღე, 26 მაისი, ჯერ ისტორიულ გამოკვლევისათვის არ გამოდგება. იგი ისე ცოცხლად დგას, როგორც გუშინდელი დღე. ეხლაც იგი ცოცხლობს აწმყოში, როგორც ჯერ დაუმთავრებელი ტრაგედია ქართველი რევოლიუციური დემოკრატიისა და მთელი ერისა.

26 მაისი—ეს საქართველოს და მისი რევოლიუციური დემოკრატიის შავი ბედისაგან ხსნის დღეა. ოსმალეთის შავი ლაშქარი ეცვია გარს საქართველოს, როგორც მუმლი მუხას. და არ ვიცოდით ხვალ მზეს ვიხილავდით, თუ ამ ბნელი ძალის გაუმაძღარ სტომაქის მსხვერპლი შევიქნებოდით. რევოლიუცია და თვით ერის სიცოცხლე—გაქრობის წინაშე იდგა. ბათუმი მტერს ეპყრა, გურიის საზღვრები მას უკვე გადმოლახული ჰქონდა, თფილისიდან რამდენიმე ათეულ ვერსზე იდგა ურდო ოსმალთა. მოლაპარაკება და სიტყვა მტერთან არ გადიოდა. შინ ღალატი—გარეთ მახვილი—აი ამ ორ ცეცხლ შუა იწვოდა და დნებოდა ისტორიის ფურცლები საქართველოს ხალხთა არსებობისა.

მეზობლები, რომელთანაც იგი ერთ სხეულს წარმოადგენდა, მას ჩამოშორდნენ, ერთნი, თათრობა ნებსით, მეორენი, სომხობა მტრის მახვილის ძალით. და საქართველო დაფლეთილი, დაგლეჯილი, მიწაზე გართხმული ეძიებდა ხსნას, მისი დემოკრატია სისხლიდან იცლებოდა ამ უსწორო ომში.

აი ამ განკითხვის წუთებში საქართველოს რევოლიუციური დემოკრატიის წიაღში იშვა იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა, როგორც ფარი და [illegible] ოსმალთა შემოსევისაგან. საერთაშორისო მდგომარეობა უნდა შეცვლილიყო ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებით, ძალთა ურთიერთობა უნდა გადმობრუნებულიყო ჩვენს სასარგებლოთ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა საკუთარი სახელმწიფოებრივი სახე, რომლითაც შეგვეძლო წარვდგომოდით მტერსაც და მოყვარესაც.

და ამიერ-კავკასიის ნანგრევებზე, ქაოსში, ტანჯვის მწვავე პროცესში იშვა ყრმა — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ქუჩა ზეიმით მიეგება მის დაბადებას, იგრძნო თითქოს, რომ ამით ხსნა მოევლინებოდა ბედკრულ ქვეყანას. და ეს წინათ გრძნობა გამართლდა.

ახლა შეგვიძლია ვთქვათ, გენიალური ნაბიჯი იყო ეს აქტი—დამოუკიდებლობის გამოცხადება, არსებულ პირობებში. იგი მართლაც მიაღწია მიზანს—გადაარჩინა ხალხი გაჟლეტას და ქვეყანას მისცა სახე—შინ წესიერებისათვის, გარეთ თავდაცვისათვის. და გაუხსნა გზა რევოლიუციის მადლით სარგებლობის.

ამიტომ 26 მაისი ჩვენი ტრაგედიის ჯაჭვის ერთი ოქროს რგოლია, საამოდ მოსაგონებელი, განცდილ ტანჯვათა შემამსუბუქებელი.

იქიდან იწყება ახალი ხანა საქართველოს ცხოვრებისა, ხანა, რომელსაც დემოკრატია ხელმძღვანელობს, ხანა დემოკრატიულ საქართველოსი, მუშათა და მშრომელ გლეხობის მეთაურობით. წინანდელი საქართველო ამ დღეს მიიცვალა. მიიცვალა საქართველო რუსეთის გუბერნია, მიიცვალა საქართველო სხვის მკერდზე მიძინებული, და დაიბადა და[illegible] არა ფეოდალური, არა მეფეების, არა თავადების, არამედ მუშების, სოციალისტების საქართველო.

ახალი კლასი ჩაუდგება ახალ ქვეყანას და ახალი გზით გაიტანა იგი განახლებულ ცხოვრებისაკენ.

26 მაისი, ამ ახალი გზის დასაწყისის თარიღია. სიკვდილის პირიდან მობრუნებული საქართველო ევროპის მუშათა საუკეთესო იდეალებს ერთი წუთითაც არ ჩამოსცილებია. პირიქით, იგი აზიიდან ევროპისაკენ შეუდრეკელ ლტოლვაში ჰყვებოდა თავის დასაცველად განგებას, ენერგიას, გამბედაობას. ერი ილტვოდა ევროპის კულტურისკენ, მისი მეთაური მუშათა კლასი ევროპის მუშათა ინტერნაციონალისაკენ. და ეს ახალი გზა რევოლიუციურ მუშაობისა აღიბეჭდა დიდი რეფორმებით შინით, როგორიცაა რეფორმა მიწის, თვითმართველობის და სხვა. აღიბეჭდა საერთაშორისო თანაგრძნობით, და საერთო ყურადღების დამსახურებით ევროპის ქვეყნებში.

26 მაისიდან საქართველო გამოდის თანდათან ცეცხლის რკალიდან, გარშემორტყმულ მტერთა მახვილის საშიშროებიდან და მაგრდება შინ და გარეთ, თავის რევოლიუციურ ნიადაგზე. ამ დღიდან იგი იწყებს თვის ფეხით სიარულს და [illegible] მდევის ნაბიჯით მიექანება. იგი ამტკიცებს შინ ხალხის, დემოკრატიის ბატონობას და არღვევს გარედან შემოწოლილ შავ დრუბელთა ზღუდეს. ეს ერთი წელი დიდი წელია ამ თავგანწირული, ისტორიული ბრძოლისა, თავდადებული შემოქმედებითი მუშაობისა.

მაგრამ 26 მაისი ძვირფასია, მაინც თავის ტრაგიკულ მოგონებით, ოსმალთაგან ხსნით. იგი ბრძოლის დღესასწაულია, იგი ერის ტრაგედიის დიდებული განცდაა, იგი ერის გენიალური შემოქმედების საუკეთესო გამოხატულებაა. და ამას ვდღესასწაულობთ ჩვენ დღეს. ამას ვულოცავთ ჩვენ დღეს საქართველოს ხალხს, და მის პატარა დემოკრატიულ რესპუბლიკას.

26 მაისი 1918 წლისა

მაგონდება 1918 წლის 26 მაისი. სეიმის საგანგებო სხდომა იყო სასახლის იმავე თეთრ დარბაზში, რომელშიაც დღეს

დამფუძნებელ კრების სხდომების დარბაზს წარმოადგენს.

მუსულმანი ხალხი მოაწყდა სასახლეს. ყველა გრძნობდა, რომ რაღაც არა ჩვეულებრივი ამბავი უნდა მომხდარიყო. დეპუტატებისაგანაც თითქმის არავინ დაკლებია.

სხდომა სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის თაოსნობით იყო მოწვეული: ფრაქციამ გადასწყვიტა, რომ სეიმის არსებობა შეუძლებელი იყო და წინადადება უნდა შეეტანა, რომ სეიმს თითონ გამოეცხადებინა თავისი თავი დაშლილად.

სოც. დემოკრატიის ეს გადაწყვეტილება თითქმის ყველამ წინდაწინვე იცოდა.

რა მოხდა? რა იყო მიზეზი, რომ სოციალ-დემოკრატია გამოვიდა დაშლის მომხრეთ? რამ აიძულა ეს პარტია, რომელიც დღიდან სეიმის დაარსებისა თავგამოდებით იცავდა მის პრესტიჟს და ამიერ-კავკასიის მთლიანობას, დღეს დაშლის მომხრეთ გამოდის?

ჩემს თვალწინ ელვის სისწრაფით გაირბინა სეიმის ოთხი თვის მოღვაწეობის აჩრდილმა. მომაგონდა ისტორიაში არ გაგონილი ერთსულოვნობა სეიმის შემადგენლობაში. მხოლოდ კადეტ სემიონოვს და ეროვნულ დემოკრატ გვაზავას შეჰქონდა დროგამოშვებით ერთგვარი დისსონანსი. დანარჩენები კი ერთხმად იღებდენ სოციალ-დემოკრატების მიერ წარდგენილ ყოველგვარ წინადადებას. ასეთი ერთსულოვნობით იქმნა მიღებული 7 მარტის აგრარული კანონი, რომელიც გადაჭრილ ნორმას ზევით მიწებს ართმევს მემამულეებს!

ასეთივე ერთსულოვნობით იყო მიღებული აქტი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობისა. კიდევ მეტი: განსაკუთრებით თავი გამოიდეს დამოუკიდებლობისათვის „მუსავატის“ წარმომადგენლებმა. სომხები, როგორც ყოველთვის უფრო დიპლომატიურად მოიქცენ, მაგრამ მაინც მხარი დაუჭირეს დამოუკიდებლობას.

ასე მიდიოდა ჩვენი საქმე. ეს ერთსულოვნობა მხოლოდ ერთხელ გაიბზარა, როცა კითხვა შეეხო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ოსმალთა ჯარების წინააღმდეგ: აზერბეიჯანის მოღვაწეებმა განაცხადეს, რომ მუსულ[illegible]ბას გვეფიცებოდენ.

მაგრამ საქართველოს დემოკრატიის წარმომადგენლებს არ გამოპარვიათ ის მძიმე შთაბეჭდილება, რომელსაც სტოვებდა ის დიდი ზღვარი, რომელიც არსებობდა სეიმის სიტყვასა და მისი ორი ფრაქციის საქმეს შორის. ორი „დემოკრატიული“ ფრაქცია, რომელიც ძმობას ეფიცებოდა ერთმანეთს სათითაოდ და ორივე ერთად ჩვენს დემოკრატიას, ერთმანეთთან კინკლაობას უნდებოდა და მათი მოქმედება ხშირად იწვევდა შეტაკებებს და სისხლის ღვრას სომეხ-თათართა შორის. გარდა ამისა ეტყობოდა, რომ მუსულმანთა მოღვაწენი ვერც კი მალავდენ სიხარულს ოსმალეთის შემოსვლის გამო და ჩუმ დელეგაციასაც კი გზავნიდენ სულთანთან. ასეთ პირობებში შეუძლებელი გახდა ერთად დარჩენა. საჭირო იყო ახდილი ნაბიჯის გადადგმა, საქვეყნოთ აღიარება იმისი, რაც სინამდვილეში იყო. და ეს თავს იდვა ჩვენმა ფრაქციამ.

საუცხოვო სანახავი იყო ამ დღეს ტრიბუნაზე ირაკლი წერეთელი: მისი გულახდილი განცხადება დემოკრატიის გულახდილობის გამოძახილი იყო. და რა საბრალო იყო „მუსავატის“ ორატორი, რომელიც გულდაწყვეტილი შორდებოდა საქართველოს.

მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ამ გამოსვლამ, რაც დაგვირგვინება იყო მათი პოლიტიკისა სეიმის მუშაობის დროს. მაგრამ ისტორიის კედელზე უკვე გამოისახა მრისხანე სიტყვები სეიმმა თავი დაშლილად გამოაცხადა. და იმავე დარბაზში იმავ წუთს, რა წუთსაც სეიმი დაიშალა, გაიხსნა საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა. და სეიმის სიტყვიერი ერთსულოვნობა შეცვალა საქართველოს ერთსულოვანმა საქმიანობამ, ახირებულ დიპლომატების ადგილი დემოკრატიის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

მაგრამ დემოკრატიას არ უყვარს ყოყოჩობა და აჩქარება, ეს მისი თვისება სავსებით აღიბეჭდა დეპუტატების სახეზე. და რაც შიგ, დარბაზში მოხდა, იგივე განმეორდა გარეთ: ხალხი დინჯათ, აუჩქარებლათ შეხვდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რადგან ის გრძნობდა, რომ რაღაც არა ჩვეულებრივი მოხდა მის ცხოვრებაში, რომ დამოუკიდებლობა არ არის მარტო ზეიმის საგანი, რომ ის დიდს, მძიმე მოვალეობას აკისრებს მას.

და ეს მოვალეობა მან დღემდის პირნათლად შეასრულა. ის უზომო იმედებით არ შეხვედრია 26 მაისს, სამაგიეროთ არც გული გასტეხია, თუმცა ძნელ პირობებში უხდება მას ცხოვრება.

26 მაისი 1918 წლისა საუცხოვოა და ახასიათებს ხალხის სულს, როცა ის მტრების კლანჭებს თავს აწყვეტს და ხელ-ფეხ გახსნილი გამოდის სამოქმედოთ.

—თელი.

ჩვენ და ისინი

თქვენ ამბობდით და ამბობთ:

— დამოუკიდებლობის გამოცხადება შედეგი იყო რუსეთში რევოლუციის დამარცხებისა. რომ რუსეთში რევოლუცია არ დამარცხებულიყო, საქართველოს დემოკრატია არ დაარღვევდა მთლიან ფრონტს და საერთო მიზნისკენ საერთო გზას გაჰყვებოდა. მაშასადამე დამოუკიდებლობა პირდაპირი შედეგია რევოლუციის დამარცხებისა და როცა თქვენ ამ აქტის გამოცხადების დღეს დღესასწაულობთ, ამით იმავე დროს დღესასწაულობთ რუსეთის რევოლუციის დამარცხებასაც—ასე მსჯელობენ ჩვენი ბრძენი ბოლშევიკები და უარყოფენ დღესასწაულში მონაწილეობას.

დამოუკიდებლობის აქტი შედეგი იყო რუსეთში რევოლუციის დამარცხების. ეს მართალია. მაგრამ დასკვნა—რომ ამ დღის დღესასწაული, იმავე დროს რუსეთის რევოლუციის დამარცხების დღესასწაულია—ეს მხოლოდ ბოლშევიკების უსუსურობის, თუ მათი ჩვენი დემოკრატიისადმი მტრული განწყობილების, ერთი ნიმუშთაგანია.

დამოუკიდებლობა ის ფარი და ხმალია, რომლითაც ჩვენმა დემოკრატიამ შესძლო რევოლუციის მონაპოვართა დაცვა-შენარჩუნება. და თუ ეს მონაპოვარი ასე მცირე მასშტაბით იქნა დაცული, ამაში ხომ ბრალი პირველ ყოვლისა თვით ბოლშევიკებს მიუძღვის. ეს ისტორიული ფაქტია და ამაზე წერაც ზედმეტია.

ჩვენი დემოკრატია დღესასწაულობს ამ დღეს. დღესასწაულობს რევოლუციის მონაპოვართა სადიდებლად, ამ [illegible]ლებას. ამ თავგანწირულებით მან განამტკიცა ის წყობილება, რომელიც საშუალებას მისცემს მას განაგრძოს თავის გზა ბრწყინვალე მომავლისაკენ და მას სჯერა, რომ ამ გზაზე ის მალე შეხვდება აღმდგარ რუსეთის ჭეშმარიტ დემოკრატიას და მასთან ერთად დაისადგურებს იმ ედემში, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

დღევანდელი საქართველო უეჭველია მეტ დახმარებას და სამსახურს გაუწევს დამარცხებულ რუსეთის დემოკრატიას, ვინემ ის გაუწევდა მაშინ, რომ მასაც რუსეთის დამარცხება განეცადა.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, ყველა ჭეშმარიტი დემოკრატი გულწრფელად შეუერთდება ამ დღესასწაულს და ჩვენთან ერთად სიამოვნებით აღნიშნავს ჩვენი რესპუბლიკის ერთი წლის ნაშრომ ნადავლს.

განი

საქართველოს

დღეს კიდევ უფრო გაანათებ, ასხივფერდები,
გადაიშლება შენს ქუჩებზე წითელი ტევრი,
აყივლდებიან არწივები იქ ბევრზე ბევრი,—
და დაინახავს შენი მტრები, რომ არ ბერდები!
დეე, გაიგონ, რომ შენცა ხარ მსოფლიოს წევრი,
მიყვარს სიცოცხლე, განსაცდელის წინ არ ჩერდები,
უკვდავს შვილთა სისხლით მორწყე კლდე-ღრე, ფერდები
და სამუდამოდ მოიშორე მონობის კევრი!
და ეს იქნება უკეთესი საზღაური, მჯერა,
როს გეწვევიან უცხოეთით თეთრი მხედრები,
რომ მოკრძალებით მოიხარონ შენს წინ ქედები,
არ მოაგონდეთ უნებურათ მარანში ქვევრი!
დღეს კიდევ უფრო გაანათებ, ასხივფერდები,
გადაიშლება შენს ქუჩებზე წითელი ტევრი,
აყივლდებიან არწივები იქ ბევრზე ბევრი,—
და დაინახავს შენი მტრები, რომ არ ბერდები!

გ. რუხაძე.

„განთავისუფლდა ამირან გმირი“

(ვუძღვნი ივ. გომართელს).

საუკუნენი საუკუნეთ, ვით წუთნი, სდევდნენ
და თან მიჰქონდათ სიამენი, თუ ვაებანი,—
გუშინ დამტკბარნი ცხოვრებითა დღეს სულსა ლევდნენ,
დღეს მონუტარეთ მოელოდათ ხვალ წამებანი
და საქართველოც, სამოთხის დარი,
ხან თუ ხარობდა, გალაღებული,
ხან, სამარისა კარზედა მდგარი,
ძლივს-და სუნთქავდა, დასუსტებული!
ბევრჯერ უსწორო ის ბრძოლაში დამარცხებული
მტრის ურდოთ ცეცხლის და მახვილის მსხვერპლადა ქმნილა,
მაგრამ კვლავ მალე, ვით ფენიქსი, განახლებული,
აყვავებულა, საარაკო წალკოტად შლილა.
და ხშირად იგივ დაუძლევია,
ვინც აყენებდა მას საზარ დღესა
და გამარჯვების ჰიმნად ჰქცევია
დამარცხებულის მოთქმა და კვნესა!
და, აი. ახლაც, სიმწარის-რა შესვა ფიალა,
სისხლით და ცრემლით მორწყო თვისი მთლად მთა და ბარი,
თავისუფლების დროშა ისევ აფრიალა
და იბრძვის მისთვის, გაშმაგებულ ლომისა დარი,
და ამაოდ ცდა მის მტრებისა,
რომ განუახლონ განვლილი ჭირი,—
დაიმსხვრა ჯაჭვი ბორკილებისა,
განთავისუფლდა ამირან გმირი!..

დუტუ მეგრელი.

ორ-კილო დღესასწაული

ვუძღვნი ნოე ჟორდანიას.

რაღაც განსაკუთრებულ სასიამოვნო ნიშანს ვხედავ, რომ განგებამ საქართველოს თავისუფლების ბედნიერება სწორედ მაისში აგემა!..

მაისი გაზაფხულის კუთვნილებაა!..

მაისი დედამიწის შემოქმედ ძალთა შემოკრების დროა!..

მაისი საკუთარი თვეა მშრომელი ხალხისა—ამ ერთად-ერთი საფუძვლისა ერის კეთილდღეობისა და ძლევა-მოსილობისა.

პირველი მაისი—მუშა ხალხის დღეა.

მთელ კულტურულ მსოფლიოში ამ დღეს ეხსნება სახე ყოველ მუშას, რომელიც უფროსერით შემთხვევაში ამ დღემდე და ამ დღის შემდეგაც მუდამ მოღუშული, წელში მოხრილი, დაიარება ჯაფის სიმძიმის გამო.

ამ დღეს უმტკიცდება მაშვრალს რწმენა ოდესმე ცხოვრების გაუმჯობესებისა და თავის თავის ხსნისა...

ამ დღეს ჰგრძნობს ის განსაკუთრებით ძმობასა და ერთობას თავისიანებთან და იმათთანაც, რომელნიც მართლა აზრითა და გრძნობით მაშვრალებთან არიან: თუმცა მდგომარეობით, შემთხვევით და უნებურად მათ არ ეკუთვნიან, მაგრამ მათსავით მოუთმენლად მოელიან შრომის სამეფოს დადგომას...

ასე ჰგრძნობს და ჰფიქრობს ყოველი მუშა პირველ მაისს თავისუფალ ერთა ქვეყნებში!..

ქართველ მუშას, ქართველ მაშვრალს განსაკუთრებით უნდა ახარებდეს მაისის დადგომა...

მაისი მას უღვიძებს არა მარტო მუ[illegible] არამედ საკუთარს, ეროვნულსაც. მაშვრალთა ხსნის თვემ ჯერ პირველად საკუთარი ხალხის შვება არგუნა...

ამიერიდან ეროვნულად განთავისუფლებული ის ქვეყნების მუშებთან ერთად პირნათლივ მიემართება წარმატებაც საწადელისაკენ...

დიახ! მას ახარებს არა მარტო პირველი მაისი, არამედ ოცდა ექვსიც.

26 მაისს ქართველ მაშვრალთა მეოხებით და სურვილით განთავისუფლდა და ამაყურად თავი ამართა თანასწორ, დიდ და პატარა ერთა შორის ქართველმა ხალხმაც...

ქართველ მუშას, გლეხია თუ პროლეტარი სულ ერთია, რომ არ შეეგნო დიადი მნიშვნელობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა, დღესაც ხომ ყველა ჩვენ ბორკილ-გაყრილი ვიქნებოდით.

ქართველმა მუშა-ხალხმა მოისურვა და აღორძინდა ხელ-ახლად საქართველო, ბედნიერი და ღირსეული, რადგანაც მისი ერის უმეტესობა მიხვდა, რომ თუ ერის ცხოვრებას შინაარსი არა აქვს, ის ერი ერობას ვერ გასწევს და უბრალო მცენარე შეიქმნება...

ჩვენი მუშა-ხალხი ნამდვილი მემკვიდრე გახდა იმ ღირსეული საგანძურისა, რომელიც შექმნეს ხალხის მეგობარმა, ჩვენმა სახელოვანმა, დაუვიწყარმა, თავდადებულებმა წარსულსა და აწმყოში...

მუშა-ხალხმა ქართველ ერს თავის სამშობლო საქართველოს ცხოვრების მრავალფეროვანი შინაარსი მიუჩინა და ამით განსაკუთრებული არა-ჩვეულებრივი გზა სვლა-წარმატებისა გაუკვალა.

26 მაისი არ იქნებოდა, პირველი რომ არ ყოფილიყო!..

ჩვენი თავისუფლების საძირკველი მაგარია... უნდა გაიფურჩქნოს ხალხის სულიერი აქამდის ფარული ძალა-შემოქმედება და ნაყოფიერად მოეფინოს ჩვენს მიწა წყალს სამართლიანობის, ძმობის, ერთობის და თანასწორობის სამუდამოდ დასამყარებლად ერის საკეთილდღეოდ!..

მაშ, გაუმარჯოს საყოველთაო საკაცობრიო და ჩვენს საკუთარს მაისობას!..

გაუმარჯოს მუშა-ხალხის და ქართველი ერის დღესასწაულ!..

გრიგოლ დიასამიძე.

დღევანდელი დღე

დღევანდელი დღე იმიტომ კი არ არის მხოლოდ სადიდებელი, რომ ის ერის თავისუფლებაა,—დღევანდელი დღე რევოლუციით იშვა და დემოკრატიის წმინდა სისხლში განიბანა.

ამიტომ არის ეს დღე განსაკუთრებით დიადი, განსაკუთრებით ძვირფასი და მრავალ ფიქრთა და გრძნობათა აღმძვრელი.

აქ ჩვენ ვდღესასწაულობთ რევოლუციის გამარჯვებას და ერის თავისუფლებას; აქ ჩვენ ვამაყობთ ჩვენი დემოკრატიის მომწიფებით.

რევოლუციის ინტერესი და ერის კეთილდღეობა დემოკრატიამ ერთად შეადუღა, წითელი დროშის ღირსებაც დაიცვა და ერიც გადაარჩინა.

თავისუფლების მოპოვება ძნელია, მაგრამ მისი დაცვა და შენარჩუნება გაცილებით უფრო ძნელი.

ჩვენმა დემოკრატიამ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია თავისუფლების მტერთა შემუსვრა.

დღევანდელი დღე დემოკრატიული რესპუბლიკის მზე არის: მან გაათენა ჩვენი რესპუბლიკა.

დღევანდელი დღე დიადი მომავლის დასაწყისია:

აყვავებული, მდიდარი, გონებითა და ეკონომიურად დაწინაურებული საქართველო, სადაც ქართველი, სომეხი, თათარი, რუსი, ბერძენი, ოსი, ებრაელი,—ყველა ერთ ძმურ კავშირს შეადგენენ და საერთო, შეთანხმებული გუგუნით მიაქანებენ ჩვენ რესპუბლიკას სოციალიზმის სამეფოში.

ჩვენ ვიცით, რომ წინ გრძელი გზა გვაქვს ეკლით სავსე გასავლელი, მაგრამ ჩვენ გავალთ მშვიდობით, ჩვენ გავიმარჯვებთ.

ამ რწმენას მაძლევს დღევანდელი დღე, დიდება მის გათენებას!

ივ. გომართელი.

26 მაისი

ერის ცრემლზე, გმირთა ძვლებზე,
ძლივს იფეთქა გაზაფხულმა,
და გულ-წითელ ყვავილებზე
შემოგვძახა ვით ბულბულმა:
ყოველად
სრული
სიხარული,
სილამაზე,
სიყვარული,—
მოცქრიალდა,
მოშრიალდა,—
გაზაფხული!!
გაზაფხული!!!
ცეკვავს ყველა, მღერის ყველა,
ფერხულია, ლაღობს ერი;
თავს უფარფატს ცისარტყელა,
შვიდ-ფერი და მშვენიერი!
დიადია ეს დღეობა,
ეს პირველი გაზაფხული!
საერთოა ეს დღეობა,
ას წლიწადს დამარხული!

ვ. ქურიშელი.

ახალი საქართველოს დღესასწაული

26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების წლის თავზე, დემოკრატიული საქართველო პირველად იხდის ეროვნულ დღესასწაულს.

26 მაისს საქართველოს დემოკრატია ზეიმით ამცნობს კაცობრიობას, რომ იგი მედგრათ ჩაუდგა სათავეში დემოკრატიულ სახელმწიფოს შენებას.

26 მაისს ახალი საქართველო პირველად იტყვის საზეიმო სიტყვას.

ძველ, ფეოდალურ საქართველოს, როგორც სახელმწიფო ერთეულს, ხშირად ახსოვს ზეიმის დღეები.

26 მაისი არსებითად განსხვავდება იმ დღეებიდან.

ძველი საქართველოს დღესასწაული არ იყო მთელი ერის დღესასწაული,— ის იყო ერთი მუჭა თავად-აზნაურობის და მეფის სახლის დღესასწაული.

ერის ბირთვი—დემოკრატია მაშინ მონობის უღელში გმინავდა:

თუმცა ის იყო მებრძოლი, შემქმნელი, სახელმწიფოს მაარსებელი, მაგრამ ამავე დროს იგივე იყო მონა-ყმა, რომლის გაჩუქება-გაყიდვა, წვალება ყველა ბატონს შეეძლო.

მის ცხოვრებაში დღესასწაულებს თავდავიწყების ხალისიც არ შეჰქონდა.

დემოკრატიისთვის ძველი საქართველო მხოლოდ მონობის მოგონებაა.

სულ სხვაა მისთვის ახალი დემოკრატიული საქართველო და მისი დღესასწაული.

აქ იგი თვით არის ყველაფერი: მებრძოლიც, შემქმნელიც და ბატონ-პატრონიც.

აქ არ არის მონობა არც უმრავლესობის, არც უმცირესობის.

აქ შეუწყვეტელი ბრძოლაა შრომის მეუფების დამკვიდრებისათვის.

აქ თავისუფლებაა, თანასწორობაა— და სწორედ ამისათვის 26 მაისი არის დღესასწაული დემოკრატიული და ამით თავისთავად ეროვნული, ე. ი. დღესასწაული მთელი ერის.

მართალია, მძიმე თანამედროვე პირობები, ისინი ოდნავ ჩრდილავენ დღესასწაულის ელფერს; ყოველმხრივ ბრძოლაში ჩაბმულმა დემოკრატიამ ამ მცირე ხნის განმავლობაში ვერ მოასწრო საბოლოოთ მოწყობა, მაგრამ სამაგიეროთ ახლაა არის იმედის ვარსკვლავი: დემოკრატია თავის დამფუძნებელ [illegible] იმუშავებს დემოკრატიულ კანონებს, რომელნიც წესს დაამკვიდრებენ ჩვენში.

იშვიათად მოსწრებია ასეთი ბედნიერება რომელიმე ხალხს.

ეს უდიდესი გამარჯვებაა, ეს საძირკველია მომავალ ცხოვრების.

26 მაისიც უკვდავია იმით, რომ საქართველოს დემოკრატია ასეთი შეგნებით გამოდის ამ დღის სადღესასწაულოთ.

ღრმად დარწმუნებული შეგვიძლია ვსთქვათ: ამიერიდან შეუძლებელია დემოკრატიულ საქართველოს დაცემა.

ამის უტყუარი თავდებია საქართველოს ლომგული დემოკრატია!

რაკი საქართველოს რესპუბლიკის სადავე ხელთ აიღო ამ უკვდავმა ძალამ, და მას გულში ალოლიავებს, მისი არსებობაც უზრუნველყოფილია.

ის დემოკრატია, რომელიც ტონს აძლევდა ევროპიულ რუსეთის ბრძოლას, რომელიც ცნობილია დასახულ იდეისათვის შეუპოვარ ბრძოლით, რომლის ყოველი ნაბიჯი სუფთა და გონიერია, ადვილად არ დაუთმობს ერთხელ აღებულ გზას.

მან ძალით ვერვინ გამოგლეჯს ხელიდან მის სისხლით განბანილ ახალ დემოკრატიულ საქართველოს.

და ვინც აიღებს ხელს მის წინააღმდეგ, იგი ჩვეულებრივად იგემებს მის რისხვას.

26 მაისიც უკვდავი იქნება, ის არ ემსგავსება იმ დღესასწაულებს, რომელთა მნიშვნელობა თვეების გასვლის შემდეგ მოკვდება.

მოკვდება ისე, რომ მათი მოგონებაც დამადონებელია.

საქართველოს დემოკრატია 26 მაისს პირველად გადაიხდის თავის სახალხო დღესასწაულს.

და იცოცხლებს განახლებული საქართველო, გაიფურჩქნება, გაიზრდება, მოეფინება მას ევროპის მაღალი კულტურაც, განმტკიცდება მასში:

ძმობა,
ერთობა,
თავისუფლება!

გაცხოველდება მაში მუშაობა უფრო დიდებულ დღის მოახლოვებისათვის: ეს იქნება ის ბედნიერი დღე, როცა რევოლუციონურ ბრძოლაში გამობრძმედილი საქართველოს მუშათა კლასი საკუთარ დროშით მსოფლიოს მუშათა კლასთან ერთად მიაღწევს სოციალიზმის კარებს!..

26 მაისი დასაწყისია ახალ საქართველოს დღესასწაულების.

საქართველო იმარჯვებს, იცოცხლებს სულ!

Wivat Georgia!

არ. ფანცულაია.

26 მაისის მოგონება

ოცდა ექვსი მაისი ისტორიული დღეა საქართველოს დემოკრატიის ცხოვრებაში. ეს დღე წარმოშვა ისტორიულმა პროცესმა და იშვა ის, როგორც შედეგი მთელი რიგი ისტორიული კვანძების, ისტორიულ ეპიზოდების...

იმ დროს, როცა ისტორია 26 მაისის აქტს ამზადებდა, ბათომის ფრონტზე ვმუშაობდი, უმთავრეს დროს სამტრედიაში ვიყავი. უმნიშვნელო დაბა ქალაქი სამტრედია მაშინ დიდ სტრატეგიულ და პოლიტიკურ პუნქტათ იქცა. აქ იყო თავმოყრილი ძალები ჩოლოქის ფრონტისა, აქ მზადდებოდა და აქედან იმართებოდა თავდაცვის საქმე. აქვე ხშირად იმართებოდა თათბირი სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელთა შორის.

მაისის მეორე ნახევარი იყო. ბათუმის კონფერენციის ეპიზოდები სამტრედიაში მკაფიოთ აშკარათ გვიჩვენებდა, რომ კავკასიის ერთა ერთობა ამ ხალხების ერთი ნაწილისთვის მხოლოდ შირმა იყო. ყოველ დღე უფრო და უფრო ირკვეოდა, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავის ამარა ვრჩებოდით არა მარტო ფიზიკურათ, არამედ ზნეობრივათაც. ამავე დროს ჩვენ იძულებული ვიყავით ჩვენი ძალები სამხრეთის ფრონტზედაც გვეყოლოდა. უკანასკნელათ ბათუმისკენ გადაცვლით ჩვენი იმედი, ჩვენი ნოე. მის ამოვლას გულის ფანცქალით მოველოდით...

ღამის პირველ საათზე გვაცნობეს ბათუმიდან ნოეს მატარებლის გამოსვლა. ჩვეულებრივ საქმის ზშირათ ვწყდებოდით რამდენიმე წუთით და ვეკითხებოდით სადგურებს, თუ სად იყო მატარებელი. მეორე დღეს მატარებელიც მოვიდა. ჩვეულებრივათ დაფიქრებული ბელადი ამ დღეს კიდევ უფრო დინჯი, ღრმა ფიქრებში ჩაფლული გამოიყურებოდა. ნაღვლიანი იყო, მაგრამ სასოწარკვეთილება მაინც არ ეტყობოდა. მას გარს შემოუსხედით ვაგონში რამდენიმე ამხანაგი და ვუცქეროდით რას გვეტყოდა. მდგომარეობა წინასწარ ვიცოდით, ჩვენ მხოლოდ მისი აზრი, მისი დასკვნა გვაინტერესებდა; მისი ახალი საშუალება, ახალი ნაბიჯის საჭიროება რა იყო, ამის გაგება გვინდოდა.

„მარტო ვართ უკვე აშკარათ, არა მარტო ფაქტიურათ, არამედ ფორმალურათაც“. „თქვენ იცით ბოლშევიკების პასუხიც, იცით მათი ფლოტის დამოკიდებულებაც, მტერი კი კულუარებში ავრცელებს ნაწყვეტ ფრაზებს: „რაც მოგივათ, თქვენ თავს დააბრალეთ“-ო...

რა უნდა ვქნათ? ამაზე დღეს ყველა დემოკრატმა თითონვე უნდა უპასუხოს, თითონ უნდა გამოიტანოს დასკვნა, თითონ უნდა დაასახელოს ახალი ნაბიჯი.

სადგურის მორიგემ შეგვატყობინა, რომ ორთქმავალი მზათაა. ჩვენ უხმოთ გამოვექით, უხმოთ ჩამოვართვით კრძალვით ხელი ძვირფას ბელადს. მან რამდენიმე შეკითხვა მოგვცა ზეზე დგომით ადგილობრივ საქმეების შესახებ და მატარებელიც დაიძრა.

ჩვენი ბაასის შინაარსი იმ დღესვე მთელ რაიონს მოედვა. ყველგან მის გარშემო მსჯელობა გაიმართა და მეორე დღეს მის შედეგათ თავისთავათ მოიწვია ხალხი სამტრედიას. მოდიოდნენ მოწინავე გლეხები, მოდიოდა ინტელიგენცია, მოდიოდნენ ქალებიც და ასე ბუნებრივათ გაიმართა დიდი მიტინგი. ამ დროს ჩვენ ჩვენი მოვალეობის ასრულებაში გართული ვიყავით, შეგვატყობინეს, მაგრამ ვერ წავედით. არც თუ ბევრი ლაპარაკის დრო იყო. ამ დღეს ყველა ორატორი იყო, ყველა ამბობდა თავის აზრს ორი სიტყვით და ეს აზრი იყო: „გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობა!“ და მიტინგმაც ასეთი რეზოლუცია მიიღო. დაავალა ქალაქის თავს მისი საჩქაროთ ტფილისში გადაცემა. ამაზე ადრე იქ მოხდა პარტიული კრება და მანაც ასეთი რეზოლუცია მიიღო. და ყველა გრძნობდა, რომ ისტორიულ სიტყვას ალასტურებდა; გრძნობდა, რომ ისტორიულ სიტყვას ისტორიული მოვალეობა ახლდა და ამიტომ მიტინგიდან მიმავალნი არ გავდნენ დღესასწაულიდან დაბრუნებულთ...

როცა დეპეშები გადავეცით, ტფილისიდან მეგთუღლით გვიპასუხეს: „აქაც ყველა კრებებმა ეგევე მიიღეს“-ო.

და იშვა ასე 26 მაისი! და აღიმართა სამტრედიის სადგურზე და ქალაქის სამმართველოზე ეროვნული დროშა წითელი დროშის გვერდით.

ზ. დათიაშვილი.

მოგონება

ტყვეთ ვიყავით ბათუმში.

ვერავითარ ამბავს, ახალსა და ძველს ვერ ვიგებდით. ვიყავით ერთ ყაზარმაში დამწყვდეულნი და გარეთ გამოსვლის ნებაც არ გვქონდა.

რა მოგვივლის? რას უზამენ ჩვენ სამშობლოს ოსმალები? ვის ხელში უნდა ჩავარდეს ის? სულ ამაზე ვფიქრობდი და ვერავითარ გამოსავალ გზას ვერ ვხედავდი.

სჯობს ჩვენი მთავრობა მიმართავდეს ისევ ჩვენ მოსაზღვრე ბოლშევიკებს,—იქნებ დაგვეხმარონ და ფიზიკურად მაინც გადავრჩეთ—მომივიდა აზრად თავში.

ცოტა იმედი მომეცა,—შეიძლება მართლაც დაგვეხმარონ—გავიფიქრე კვლავ და დაღონებულმა ყაზარმაში გავიარ-გამოვიარე.

დავინახე ერთ ჯარისკაცს გაზეთი „ერთობა“ უჭირავს ხელში. გამეხარდა აღდგომა დღესავით, მივარდი და დაუწყე თვალიერება. აი მეერ წავაწყდი ერთ წერილს „ჩვენი მიმართვის პასუხი ყუბანის ბოლშევიკებისაგან“. აბა, მოუთმენლად დავუწყე კითხვა,.. მაგრამ, რა ამოვიკითხე? როგორი პასუხი მოუცია ჩვენთვის ყუბანის ბოლშევიკებს „კუბანსკაია პრავდას“ 46 № ში. იქ, არამც თუ დახმარებას, კიდევაც გვემუქრებიან, ცილსაც გვწამებს იმაში, რომ ვითომ ჩვენ დაგვექციოს რუსეთი... გადავიკითხე და გულზე ცეცხლის ალი მომედო. დაღონებული გამოვბრუნდი უკან. ნუ თუ შესძლებს არსებობას ამიერ-კავკასია? ნუ თუ ვერ გაუმაგრდება ოსმალებს ისე, რომ ჩვენი დედა ქალაქი მაინც შევინარჩუნოთ? თავის თავის გაჭირვება სულ დავიწყებული მქონდა, და ასეთი ფიქრები ისე გამიტაცებდნენ, რომ აღარ ვიცოდი სად ვიყავი, მაგრამ აზრზე მალე მომიყვანდა ატეხილი ხმაურობა ასკერებისა, რომლებიც ჩვენს ჯარისკაცებთან მიცვივდებოდნენ და ხან ფეხზე და ხან ტანზე დაუწყებდნენ გახდას.

ერთ საღამოს ფიქრებში ვიყავი გართული, როცა ერთი ჩემი ამხანაგი შემოვიდა და მითხრა:

— ერთ რასმეს გახარებ, თუ დამიმალდები—მე მაშინვე მივაჩერდი და შევეხვეწე ეთქვა რაც იცოდა.

— საქართველოს დამოუკიდებლობა გამოუცხადებიათ, კიდევაც შემდგარა საქართველოს მთავრობა. და სეიმი უკვე დაშლილა. სწორედ ეს იყო ჩემი ფიქრი და კიდევაც ასრულებულა — დაათავა მან.

— მერე ეს რა გასახარელია? სად შესწევს ძალა საქართველოს შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა?—გავიფიქრე მე. მომაგონდა მთლიანი რუსეთი რევოლიუციის პირველ დღეებში. მომაგონდა ამიერ-კავკასიის მთლიანობა, თვალწინ დამიდგა მისი დაქცევის ტრაღედია და თავის ჩაქნევით ჩავილაპარაკე—ნუთუ საქართველოს ისე არ დაემართება, როგორც რუსეთს, ანდა როგორც ამიერ-კავკასიას?

ეხლა ისეთ გულზე მოვედი, რომ ვარჩევდი მაშინვე აბობოქრებულ ზღვაში ჩავვარდნილიყავი.

მაგრამ მოაწია ძვირფასმა და ჩვენთვის დაუვიწყარმა დღემ ჩვენი ბათუმიდან გამოსვლისამ.

გამოვცილდით თუ არა მდ. ჩოლოქს, მაშინვე ვიგრძენ საქართველოს დიადი მომავალი. მაშინვე შევნიშნე რაღაც იდუმალი ჩაგონებით, რომ საქართველო თავის დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა.

ბათუმში ტყვედ ნამყოფ ჯარისკაცებს არ გვიცქეროდნენ კარგის თვალით ზოგიერთები, მაგრამ მე მაინც იმედს არ ვკარგავდი და ხალისით მივდიოდი სხვა უფრო საჭირო ადგილას.

მართლაც, სამი დღის ამოსულები არ ვიყავით ბათუმიდან, რომ სანაინისაკენ ოსმალთა ბანდების წინაღმდეგ წავედით. იქ სრული გამარჯვება მოვიპოვეთ. მერე სომხეთთან ომშიაც მივიღე მონაწილეობა, სადაც მე შუა თითი დავკარგე.

მერე ახალციხეში ოსმალთა ბანდებთან ვიბრძოდით. აქაც გამარჯვებული გამოვედით.

და დღეს კი, როცა მოვიგონებ შარშანდელს დიდ სიხარულს, ვგრძნობ და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჯარისკაცს მზადა მაქვს თავი, რომ შევსწირო სამშობლოს კეთილ დღეობას.

დღეს ჩვენი რესპუბლიკა დღესასწაულობს ერთი წლის თავს! მაშ, გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს მის მეთაურებს, რომლებმაც იხსნეს ქვეყანა ჯოჯოხეთისაგან.

ხაწუადი მუშა.

სამშობლოს

ჩემო სამშობლოვ! შენებით სავსე მაქვს სულის ფსკერი,
წითელ დროშის ქვეშ ხარ ბრწყინვალე, ხარ მშვენიერი!
სისხლის ფერ დროშას როცა სიო ფრთებს კრავს, გაქროლებს,
შენი ბორკილის როცა ვხედავ დამტვრეულ რგოლებს,
უკანასკნელ ნაშთს ცოდვებისას როცა ცეცხლი სწვავს,
და მცინარ ბრბოის წინ მის გაქრობას ვერავინ ბედავს,
ჟამს ყიჟინამ როს შესცვალა სასახლის შვება,
ბრბომ მოიტაცა, ბრბომ წაიღო ძველი დიდება,
როცა ნანგრევებს შრომის შვილი, ამაყი, მარჯვე,
დაადგა თავზე და იძახის: მე გავიმარჯვე!
მაშინ სამშობლოვ, საყვარელო, ნეტარებს სული,
იგევე ბედნიერ, მომავლისთვის დღესასწაული!..

რ. ლეჩხუმელი.

26 მაისი

* * *

ცის ლაჟვარდების სავანე—ცა კუპრული გაირღვა,
ოქროს ცრემლი მოდინდა ფერად სივრცით დენილი,
თვალწარულდა გარემო დილის ხავერდით ფენილი
და იქ სიტყვა მზიური ერის გულზე დაიფრქვა!..

* * *

მზის სხივები,
ვით ისრები ციმციმობენ, ომობენ,
ერს უებარს,
თავისუფალს,—ძლევის ხმებით აქობენ!...

* * *

გაირღვა წყვდიადი, აღიდღა გულის თქმა,
და ლოცვა დიადი გარდიქმნა ერის ხმათ,
სამშობლო ზეიმობს, მოყვრის მზე ლხინის!
ალამი გულისა თან მიაქვს, უცინის!..

—

ზღვა ხალხი გუგუნებს, ზეიმობს გარემო;
გუგუნებს, ტრიალებს მძლე ხმა და ზვირთები
ეეჰ! რად შეშურდათ ჩვენი ხმა საგემო,
მოდით და ვილხინოთ, თუ ძმები ვიქნებით!..

—

სამშობლო ზეიმობს, მიუძღვის მზე ლხინის,
ალამი გულისა თან მიაქვს, უცინის!..

გელა.

დედა საქართველოს

(26 მაისი)

ოთხას წელზე მეტი იყო
მონგოლების ხელში,
მაინც თავი გადირჩინა,
ვერ გასტეხეს წელში!

ას-ჩვიდმეტი წელიწადი
ბოლოს გაატარა,
მონობაშიც თავის ყოფნა
უქმად არ ატარა...

დღეს შენდება მუშის ხელით—
მტერი დაშლილია,
ვინც იწვევა—წუიკვლდებს,
კვლავ გულ-გაშლილია!

ეს პატარა სამოთხეა,
ვაზა ციურ ძალთა!
თურმე აქ დაუბერტყია
უფალს თავის კალთა!

როგორც მისი ღვიძლი შვილი,
უცხოც თავს დაირჩენს.
თუ სიკეთეს ვინმე უზამს—
ისიც არ შეირჩენს.

მაშ ვუსურვოთ გამარჯვება:
დღენი განაგრძელოს!
მივულოცოთ გაზაფხული
დედა—საქართველოს!

გიგო თემიხხველი.

აწმყო და მომავალი

26 მაისი, ეს დიდებული დღეა ჩვენი ხალხის, ჩვენი დემოკრატიის ისტორიაში.

რევოლიუციურ ბრძოლაში განაჭედი საქართველოს დემოკრატია, მრავალ ნაცადი პოზიციებიდან 26 მაისს უკანასკნელ პოზიციაზე შეჩერდა, გაითვალისწინა საერთო მდგომარეობა, ცნო რუსეთის ძალთა დარღვევა-დანაწილება, შეუთანასწორა ადგილობრივი პირობები საერთაშორისო პირობებს და მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

26 მაისი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ყოფნა არ ყოფნის დღე იყო, და ამ დღის წლის თავს დიდის ზეიმით დღესასწაულობს საქართველოს ყველა გულწრფელი და ქეშმარიტი მოქალაქე.

გასული წლის 26 მაისიდან ჩვენს ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობას მრავალი მტერი აღმოუჩნდა შიგნით და გარეთ. ერთის მხრივ, ცრუ სოციალისტური ჯგუფები, რომლებიც გზა-კვალი დაებნათ, სწორი ხაზი დეჰკარგეს და ისევ ბრმათ რუსეთის ქაოსისაკენ იცქირებოდნენ. მეორეს მხრივ გარეშე მტრები. მათ ვერ მოინელეს ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი დემოკრატიის გამარჯვება და ყოველი მხრიდან იერიშები მოიტანეს. იმდენათ მტკიცე გამოდგა, რომ ვერავითარმა უხეშმა ძალებმა ვერ სძლიეს მას. და შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის პატარა ნავი დიდ ოკეანეთა აბობოქრებულ ტალღათა შორის უვნებლათ გადასცურავს და საერთაშორისო ნავთსადგურში ბინას გაიჩენს.

მაგრამ, რომ ეს მიზანი სავსებით მიღწეულ იქნეს, ჯერ კიდევ საჭიროა ბევრ დაბრკოლებათა გადალახვა, განმანადგურებელ ომისგან ჩვენი შერყეული ცხოვრების გამოსწორება, მწვავე კრიზისების განელება, სოციალურ პოლიტიკურ რეფორმათა განმტკიცება, გარეშე და შინაგან თავდამსხმელ მტერთა მოგერიება, საგარეო და საშინაო პოლიტიკის სწორათ წარმოება და მეზობელ სახელმწიფოთა შორის კეთილგანწყობილების მოგვარება.

აი ჩვენი დემოკრატიის ყოველდღიური საზრუნავისაგანი, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, დღევანდელი დღე, 26 მაისი, საქართველოში მცხოვრებ ყველა ერის შეგნებულ დემოკრატიას ერთ ბანაკში შეაერთებს.

მაშ, გაუმარჯოს საქართველოს ბრწყინვალე სადღესასწაულო დღეს, 26 მაისს!

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

პადარა მუშა.

სამშობლოს

I

ასე რომ შვენის ცას გადმოხედვა
მზეს ნეტა ვისი კოცნა სწყურია,—
დროს ვინ მოსტაცა, რაც გულში ედვა,
ბედი დღეს ვისი მეჩონგურეა!?

* *

შორს წიაღიდან საუკუნეთა,
ვით მოგონება განცვიფრებული,
მოფრინავს გუნდი ცეცხლის შუნეთა
და შევარდენთა ანცი კრებული;
მოაქვთ გვირგვინი და მოსჩანს ოდენ
მაღალს ჯიღაზე წითლათ სწერია:
თავისუფლებავ, შენ გიხაროდენ,
ვითარმედ იშვებს დღეს ივერია!..

* *

და უხარიან ცას გადმოხედვა,
მზესაც შენს გულში კოცნა სწყურია,—
დროს მოუცია რაც გულში ედვა
და ბედიც შენი მეჩონგურეა!..

გურიას.

II

როცა გამოჩნდა აღთქმის ქვეყანა,
ცეცხლის უდაბნო გამოვლილია..
შენს წალკოტებში მინდა ვილოცო,
მწამხარ, მიყვარხარ ვით გალილეა.

* *

აჰა, სამშობლოვ გამოიარა
ბაბილონური დრტვინვა ტყვეობა,
ამიერიდან შენ სამერმისოდ,
სამარადისო დასკვნა დღეობა...
და ვინც გაამო ზღვა მეწამული,
დაიხსნა ერი, გამოიყვანა,
მას ადიდებდეს ყოველი სული,
გული გრძნებს მას ეთაყვანა,—

* *

ის ეყვანა თავისუფლებას
და სამშობლოზე უფრო ტკბილია,—
ვლოცულობ მისას, მიდამო არეს,
ის მწამს და მიყვარს ვით გალილეა!

ვ. ტუხიაშვილი.

კრწანისის ველი

სალამი კრწანისის ველზე დახოცილ გმირებს!

სალამი და დიდება სამას არაგველს, რომელთაც ფიცი დასდეს: სამშობლოს დასაცავად ან გავიმარჯვებთ, ან ძმურათ დავიხოცებითო! და დაიხოცა სამასივე და მათი სახელი, ვითარცა სამასი სპარტანელის, საქართველოს ერის გულში—მის ისტორია—მატიანეში ოქროს ასოებით სწერია და მათი მაგალითი საშვილიშვილოთ გადადის, მათი მოქმედება სამაგალითოდ გამხდარა!..

სალამი და ნეტარება თქვენ ცხრა ძმებო, დის-დასათ, ძმა შვილებათ შეფიცულნო, რომელნიც საქართველოს მაჯებიდან, ვითარცა არწივნი, მოფრინდით მშობელ ტფილისის დასაცავად და ვითარცა ცეცხლს თივა, მოედევით ურიცხვ მტერს, და მრავალჯერ ძლიეთ მას!..

ვითარცა მამას შვილები რკინის სალტესავით გარს შემოერტყით, თქვენ საყვარელს გმირს—პატარა კახს და ალა მაჰმად-ხანის მოზღვავებულ ჯარს მამაცურად ტფილისის ბჭესთან შეხვდით!..

გიხაროდენ, რამეთუ დროშა იგი, რომელიც თქვენ გეჭირათ საქართველოს დასაცავად, კვლავ ამაყათ ფრიალებს საქართველოს თავზე და, ვითარცა ცისარტყელა, აცისკროვნებს დედა ქალაქ ტფილისს, ჩვენცა გვაქვს თავისუფლების სასუფეველი, სადაც გვიწვევნან თქვენებრ შეფიცულნი ცხრა ძმანი! ჩვენ დღესაც განვაგრძობთ დიდ ბრძოლას და მაშინ, როდესაც ძმობა-ერთობის დროშა კაცობრიობას ხელიდან გავარდნია—ამ დროშას მშვენიერი პატარა საქართველო ამაყათ აფრიალებს თქვენ საყვარელ სამშობლოში კაცობრიობის სადღესასწაულოთ და როდესაც სრულიად გავიმარჯვებთ, მაშინ მოვალთ თქვენ საფლავებთან, დავიდგამთ დიდების ძეგლს და ჩამოვძახებთ: გიხაროდენ, რამეთუ ქვეყანა გამარჯვებას დღესასწაულობს და თქვენ საყვარელ პატარა საქართველოს ამ დღესასწაულში პირველი ადგილი უჭირავს!..

ას წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ უთანასწორო ბრძოლაში დაეცით, ას წელზე მეტია, რაც საქართველოს თავისუფლების დროშა აღარ უხილავს, მაგრამ ნება მომეცით გმირებო მოგილოცოთ, რომ ეს დროშა დღეს ამაყათ ელვარებს თქვენ საყვარელ დედა ქალაქ ტფილისში!..

ვლასა მგელაძე.

ოცდაექვსი მაისი

ოცდაექვსო მაისო,
ჩვენო შვებავ ხალისო,
გაგვამხნევე, რომ შიში
აღარ გვქონდეს ხვალისო!

ოცდაექვსო მაისო,
ჩვენო სვეტო ნათლისო,
უხვად გვფინე ნათელი
შენის უხვი მადლისო!

ოცდაექვსო მაისო,
უკვდავების სასმისო,
დაგვაწაფე შენს წყაროს,
მოგვეც გრძნობა სამისო!

ოცდაექვსო მაისო,
ჩვენო ოქროს საწმისო,
ოქროს ხანა მოგვემადლე,
მტკიცე მარად ჟამისო!

ოცდაექვსო მაისო,
ჩვენ ორგულთა სადგისო,
აგრძნობინე იმათაც
გემო შენის მადლისო!

ოცდაექვსო მაისო,
ჩვენო შვებავ, ხალისო,
ღირს გვყავ მტრის ზეიმით
შევეგებოთ გაისსო!

დ. წულაძე.

1919 წ. ს. ჭანჭათი.

აჩრდილი

გარიჟრაჟდა. მტრედის ფერმა განთიადმა აღმოსავლეთი ალის ფერათ აღფერადა. ცის ლაჟვარდ ტატნობზე მკაფიოდ გამოიკვეთა მთაწმინდა, რომლის შეხავერდებულ კალთაზე 26 მაისის დილის მზის სხივები სანეტაროთ აკისკასდა.

ისტორიული ცხოვრების სამარიდან ამდგარი ქართველი ერი განთავისუფლების წლის თავს სადღესასწაულო ზეიმით ეგებება...

საუკუნოებით ჭირნახული, მრავალ წამებული, ბევრ მწარე გამოვლილი საქართველო დიადი ერთგული ჰიმნით ამეტყველებული მთელ სამყაროს შეღაღადებდა. და ისმოდა მძლეთა-მძლე

მრავალკუთხიერის დიადი, ზე-ამოწვდილი გუმბათი, რომლითაც ის კავკასიონის ოჯახში სხვებთან ერთად თავის საკუთარ ცის პატარა ბერკეტს, თავისი სისხლით და ოფლით გაჟღენთილ მიწა-წყალზე ნეტარების სიცოცხლეს ითხოვდა და იცავდა.

ზღვა-თვალისი ძლიერთავანებული, ნეტარებით დამთვრალი და მოხიბლულ-მოჯადოებული ზავთიანათ ლელავდა, მოუთმენლად ტოკავდა და ქუჩილ-ხივილობდა.

და აი ამ საერთო გუგუნში-მკვეთრათ ისმოდა საქართველოს ისტორიულ სამრეკლოდან თავისუფლების ზარის ნაწყვეტილი ცეცხლი წკრიალი, რომელიც ყველას ათრთოლებულ გულს სიღრმემდის სწვდებოდა, აჩქარებდა.

საქართველოს გულში, სადაც თავისუფლება დაიბადა, გაერთიანებულ ქართველობას: ქართლ-კახეთს, გურია-სამეგრელოს, რაჭა-იმერეთს, ფშავ-ხევსურეთს, მესხეთ-ჯავახეთს, აჭარა-ქობულეთს და სხვებს საზეიმო ფერხული დეუბამთ...

და აგერ ქართლის მიდის ისტორიული გუმბაცი, ცეცხლი შარავანდედით სახეგაბრწყინებული მთაწმინდაც მრავალწამებულ ქართველობასთან ერთად სიხარულის ცრემლებით იბანება და მის მშობლიურ კალთის ქვეშ საშვილიშვილო სამარეებს ცეცხლ მარგალიტებს აფრქვევს...

და აი წმინდა მთის მწვერვალზე აფრიალებულ რევოლუციონურ და ეროვნულ დროშათა შორის ელვარებს შუქმოსილი ლიდებული აჩრდილი დიდი აკაკისა, რომელმაც თავისი ბაგეზური, ცეცხლი ლამილით საქვეყნოთ დაღვრა:

„ჩონგურს სიმები გაება,
მეწყო ნელა-ნელათ,
შეეხმატკბილა ერთმანეთს,
ოდელა-დელა-დელათ“!..

ნ. პართენაშვილი.

ავენთებოდი უქრობ ჩირაღდნად

ადრევე, როდესაც ჩვენი ცა საშინლად მოშავებულ-მოქუშული იყო, როდესაც მოშუღარ კერკეტონებს მებრძოლთა თავის ქალანი სასიცოცხლოდ გადაკეთებინათ და მით ეცებოდნენ წესს ყველა მათ, ვინც გამბედავად მზიურ ქვეყნის ტრფიალს, როდესაც კუდიანები ველურ დავლურს უვლიდნენ გმირთა უჯვრო საფლავებს,— მაშინ ოცნება, მუნჯი ოცნებაც კი საშინელი იყო, რადგან თვით კედლებსაც მზვერავის თვალყური ესხა და ბუკიოტის ბლეერით გამოიყურებოდა.

ამ დროს ჩემს ერთად-ერთ ლხინს და ნიშატობას შეადგენდა ტანჯული ოცნებით წარმოდგენილი ბაზალეთის ტბის კიდეს. გადმოცემა მქონდა: ამ ტბის ფსკერში ოქროს აკვანი სდგას, შიგ ასვენია უცხო ყრმა, რომელიც სულის მეოხად მოევლინება ტანჯულ ხალხს, თუ როგორმე ამოიყვანს იგი იმ ტბიდანაო. მაგრამ ძნელია, ძალიან ძნელია მისი ამოყვანა. ვერავინ ჰბედავს მისდგომას.

ძალიან მიყვარდა ამ ტბის კიდეს წანწალი და ლოდინი იმ ჯომარდი, მირონცხებული გმირისა, რომელიც შესძლებდა ტბაში ჩაშვებას. მარად ველოდი მას და ამაოდ, ამაოდ...

ამ დროს დამის წყვდიადი სასოწარკვეთის ლოდად დამაწვებოდა ხოლმე გულს და მომაჩვენებდა, რომ კერკეტონების მონა ბაყაყებს ხავსის არტახებით გაუკუღმიათ ყრმა და სამარედ გადაქცეული ტბა მომღელ-ფარეზად გადახურული.

**

ჟამი სცვლიდა ჟამს, გაზაფხული გაზაფხულს. მთიებით ელფერებული გარიჟრაჟი მელამუნებოდა ხოლმე ჯადოსნურ ალერსით, მაგრამ არ ესმოდა ის ჩემს გულს; ფრთოსანთა გუნდი ყვავილთა სურნელებით დატკბურ მელოდიებით მიგალობებდა სიყვარულის მტრედისფერ სიზმრებზე, მაგრამ არ ახარებდა იგი ოცნებას. მე ცრემლების ყვავილებით ვილოდი ბაზალეთის ტბის კიდეს და რა ცნობდა მას დაყურსებულს, მოლუშულს —მწარედ მოვსთქვამდი:

რა დაგემართა, რა დაგემართა, ხალხო, ვით დაუძლურდი, ვით დაჭკლაბაკდი? განა ეს ყრმა იმისთვის იცდის, რომ დაივიწყო? იდესღაც ჰკვანდი წყაროს—საამო ჩუხჩუხით რომ ამწვევდა დავრდომილს, ძალას ჰმატებდა. ახლა, როცა მიწყვდეულოდით ბედნიერების კუნძულს —ახლა წაგრთმევია ნიჭი, ახლა დაგშრეტია სიყვარული თავისუფლებისადმი?

ასე მოვსთქვამდი მაშინ და ერთადერთი მანუგეშებელი იყო ტყვერ ხევშა მშობლიური მთა, რომელიც იდუმალად მეჩურჩულებოდა: სძინავს, დრო ძილით სძინავს შენს ხალხს, მაგრამ როდია ეს სიკვდილის ძილი, შვილო. არა! მას სძინავს იმიტომ, რომ დასუსტებულია. მას გამოუშვეს ქერქები და ძილი ზედ მისწრებაა. ძილში ძალას მოიკრებს, მოუყბადღება, რომ ჩაკირკიტებული დამჭიდეს ახალ დროთ-ჟამის ქარიშხალს, რომ შეუპოვრად შეებას ტბის ავ-სულებს და მიიჰყოს ყრმასა სანუკვარს.

**

მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს! აღსრულდა მთების წინასწარმეტყველება. მართლაც დროებითი ყოფილა იმედთა მოთვალიერებელი ჟამი. ლაჰმერა განახლების გრიგალმა, მიმლეწ-მომლეწა ძველი კერპები. ნატისუსალი აღდენა კერკეტონებს. არ ყოფნის მხრისკენ პირი უყო ქარმა ზამთარს. შუგ და უკუღმა მისი გზა-კვალი! არც ხალხი ყოფილა მთლად გაჯანებული. საქმარისია მოფრთხილებულიყო გაზაფხული, ჩაუხედნა მისს სულში ფირუზი თვალებით, რომ უმალ გადასცლოდა შავ ზმანების საბურველი, გამოფხიზლებულიყო, გაბაზიდით სწრაფად ჩაშრილიყო ტბაში დაეხსნა იგი ყრმა.

**

დღეს, ამ განახლების ალიონიანების წლის თავს, ქართველ ხალხს იგი ყრმა გაზაფხულის კვარცხლბეკზე აუყვანია და ეთაყვანება. იგი ყველას ოცნებაა, ყველას თავისუფლებაა, ყველას ბრწყინვალე მომავალია.

მქეთკენ, მქეთ ხალხო! ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. ეს ყრმა მხოლოდ პირველი მერცხალია. წყვდიადის სულები ყველა არ გაჟუჟულა. შეიძლება ისევ მოექცეოდნენ გაზაფხულის ჩასამწარებლად, ყრმის მოსატაცად. მაშ, მოყვასნო, მხნე გაბასრული ვეფხვებად გარდაიქეცით, არვის დაანებოთ თავისუფლება.

* * *

ყრმაო, ყრმაო, ზღაპრული სიხარულო, ცისარტყელოვანო ოცნებავ! ვით მოგესალმო ამ ბედნიერ დღეს, რა მოგიძღვნა? ღარიბი ვარ, ღარიბი, ყვავილებიც არა მაქვს. ერთად-ერთი ნატვრა მაბადია, იქნებ მან მიშველოს. მართალია იშვიათად, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც სრულდება ხოლმე ზოგი ნატვრა. იქნებ ქედ-ბედი მეწიოს და მეც ამისრულდეს. თქმულებაა, ბრაზილიის ტყეში იზრდება ერთი ყვავილი, რომელიც ისე უბედურია თურმე, რომ მთელს საუკუნეში მხოლოდ ერთხელ ეღირსება ხოლმე გაშლა. ნუ თუ იმ ყვავილის ბედს მაინც არ მეწვევი და ერთი ნატვრაც არ ამიყვავილდება? მცირე მაინც არ იყოს იგი. მე მხოლოდ ვინატრებდი ჩირაღდნად ავენთებულიყავ ამ ყრმის კვარცხლბეკზე. მე მაშინ ცხოვლად გავანათებდი დამეს, თუ ვინიცობაა ჩამოეგვა წყვდიადოდა იგი და კვლავ აირეოდნენ ბნელი ძალები.

ტიალ ცხოვრების ყურყუმ გვირაბებში მავალი ავპრიალდებოდი ისეთ ჩირაღდნად, რომ ჭაღარა ციხე-კოშკებისთვისაც კი გამეთბო საუკუნეთა სიცივისაგან გაბუჟული სული, ხალხის სახეზე ამეცქომცქვა დაკარგული ნაზი სიცილი და იმ ყრმისთვის სხივთა ქინდილით შემღერა საქართველოს სილაღეზე, მის გაზაფხულის უკვდავ სილამაზეზე და ხალხთა სიყვარულის გარდაუვალობაზე.

დ. თურდოსპირელი.

დღევანდელი დღესასწაულის წესრიგი

დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის მიერ დღევანდელი დღესასწაულისთვის შემუშავებულია შემდეგი წესრიგი:

დილის ათ საათზე დასრულდება ჯარების აღლუმი. აღლუმის დასრულების შემდეგ ჯარი გაემართება ვაკეზე.

თორმეტის ნახევარზე დაიწყება კორტეჟის პროცესია.

სასახლის წინ პირველ კამარასთან იქნებიან ჰეროლდები „დამოუკიდებლობის საყვირით“.

ჰეროლდების შემდეგ—შეერთებული ორკესტრი, ორკესტრს მიჰყვება სათანადოდ მორთული მიკაზმული ავტომობილი—„რევოლუცია“.

შემდეგ—გუთნების ხორო, ხოროს შემდეგ—მეორე შესაფერათ მოწყობილი ავტომობილი—„საქართველოს დამოუკიდებლობა“. შემდეგ 26 მაისის ხორო.

26 მაისის ხოროს შემდეგ—კავალკადა — „საქართველოს გაერთიანება“. კავალკადის შემდეგ ხალხური ხორო.

ხალხურ ხოროს შემდეგ—ავტომობილი „გაზაფხული“. შემდეგ ორკესტრი, რომელსაც მიჰყვებიან „შევარდენები“.

შევარდენების შემდეგ მოწაფეები, შემდეგ ამქრები და ბოლოს პროფესიონალური კავშირები.

დაახლოვებით თორმეტ საათზე პროცესია მივა ვაკეზე, (სემინარიის გვერდით), სადაც თავს იყრიან, როგორც დღესასწაულში მონაწილენი, ისე მაყურებელნი.

აქ გამართული იქნება სტადიონი, რომელზედაც შესრულდება ეროვნული ჰიმნი, შეიდი სხვადასხვა ხალხური სიმღერა, შეასრულებს სახალხო მომღერალთა გუნდი. ერთი შეერთებული სამხედრო ორკესტრი შეასრულებს ქართულ მარშს, ლოცვას და ხელხვავს. შემდეგ გაიმართება სავიმნასტო ვარჯიშობა-შეჯიბრება გაქცევაში, ჭიდაობა და სხვა. მონაწილეობას იღებს „შევარდენის“ მრავალრიცხოვანი ჯგუფი ფერად ტანისამოსში გამოწყობილი. გამარჯვებული ჯილდოთ მიიღებს დაფნის გვირგვინს.

სტადიონზე იქნება განსაკუთრებული ადგილი მთავრობისა, უცხო სახელმწიფო წარმომადგენლებისათვის.

საღამოს ქალაქი გაჩირაღდნებულია. მაღლობებიდან აუშვებენ შუშხუნებს. გაჩირაღდნებული იქნება მამადავითის მთა. 7 საათზე სახელმწიფო და არტისტულ თეატრების აივანზე ხორო და ორკესტრი შეასრულებს რამდენიმე სიმღერას. თეატრებში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენები.

პროცესია დაიწყება თავისუფლების მოედნიდან (ყოფილი ერევნის მოედანი) და გაივლის გოლოვინის პროსპექტზე, ოლღას და წყნეთის ქუჩებზე. ყველა ამ ადგილებში შუა ქუჩა უნდა იყოს თავისუფალი, მაყურებელნი უნდა „გაჩერდნენ“ ტროტუარებზე. აქ წესრიგს იცავენ სტუდენტები და მუშების წარმომადგენლები, რომელთაც ექნებათ განსაკუთრებული ნიშნები. ამათ განკარგულებას ემორჩილება მილიციაც.

საპატიო ხელმძღვანელნი არიან დამფუძნებელ კრების წევრები.

ფაქტიურათ დღესასწაულს განაგებს და პროცესიას ხელმძღვანელობს დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია.

26 მაისის გამო

გაგრა. სოჩის ფრონტზე მყოფი დიდი ჯიხაიშის გვარდიელები ულოცავს საქართველოს დემოკრატიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, 26 მაისს.

მონდობილობით ნ. ჯიხაიშვილი.

ახალციხე. ჩვენ, მეოთხე პოლკის მესამე ტყვიის მფრქვეველ გუნდის ჯარისკაცები ვულოცავთ ჩვენს მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავს. იარაღით ხელში მზათ ვართ მის დასაცავად. გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს.

ამხ. მონდობილობით პარმენ ლორია.

ახალი ამბები

დღეს დამფუძნებელი კრების სხდომა არ შესდგება.

◆ მოქალაქეთა საყურადღებოთ თფ. ქალაქის გამგეობა აცხადებს: დღევანდელ დღესასწაულში წესრიგის საპატიო ხელმძღვანელნი — დამფუძნებელი კრების წევრები, წესიერების მეთვალყურენი-კი მუშები და სტუდენტობა. ყველა ამათ შესაფერი ნიშნები ექნებათ. მილიცია თავისუფლების მოედნიდან ვაკემდე აქა იქ დარაჯობს საერთო წესიერების დასაცავათ.

ვაკეზე რეზერვი მილიციისა, სადარაჯოებზე დაყენებული, იცავს წესრიგს. მილიციის უფროსი და მისი თანაშემწეები ხელმძღვანელობენ მილიციას საერთო წესიერების დაცვის საქმეში.

ყველა მოქალაქე უნდა დაემორჩილოს მეთვალყურეთა მოთხოვნას. რესტორანები ქალაქში ჩვეულებრივი წესით სწარმოებენ.

ვაკეზე ღვინით ვაჭრობა ნებადართულია მხოლოდ ამისთვის მიჩნეულ ადგილზე. სიმთვრალე, აურზაური და სხვა ამგვარი უწესო საქციელი, რასაც კი შეუძლია ამ ბრწყინვალე დღესასწაულისათვის ჩრდილი მიაყენოს, უსათუოდ სასტიკად დევნილი იქნება მილიციის მიერ და დამნაშავე დასჯილი. თფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეებს თვით მიიღონ ყოველივე ღონისძიება, რომ წესიერება დარღვეული არ იქნეს და დღესასწაული შესაფერი მხიარულებით, ზრდილობით და მშვიდობიანათ ჩატარდეს.

◆ სადღესასწაულო წარმოდგენა. სახ. სახლ. არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ, დღეს, წარმოდგენილი იქნება ორიგინალური პიესა „რევოლუციის რიჟრაჟზე“. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ სახალხო უნივერსიტეტში 26 მაისს არ შესდგება ლექციები. მის მაგიერ ყველა განყოფილებებში გაიმართება ბაასი 26 მაისის მნიშვნელობის შესახებ. ლექციები განახლდება სამშაბათიდან.

◆ საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის თფილისის კომიტეტი მოუწოდებს ყველა რაიონულ ორგანიზაციების წევრებს უფროს ამხანაგების რაიონულ ორგანიზაციებთან შეერთებით მხურვალე მონაწილეობა მიიღონ 26 მაისის დღესასწაულში.

◆ 26 მაისის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ ვერის მეოთხე რაიონის კოლექტივი იწვევს ამხანაგებს დილის 9 საათისთვის კლუბის ბინაზე.

მე 8 რაიონის კოლექტივი—დილის 8 ს. მიუჩის ბინაზე. კახეთის ქ. № 1.

მეჩექმეთა საქმის მუშათა კავშირის გამგეობა—დილის 9 ს. ყოფილ სასტუმრო „ბო-მონდთან“ ელისაბედის ქ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

25 მაისი

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი, მაისის 24. ბერლინი. მაის. 23. პარიზიდან მოსული ცნობებით მარშალი პეტენი გადადგა მარშალ ფოშთან მუდმივ უთანხმოების გამო. საზავო კონფერენციაზე რუმინიის წარმომადგენლები იმუქრებიან, რომ დასტოვებენ კონფერენციას, რადგან ოთხთა საბჭომ არ დააკმაყოფილა რუმინიის მოთხოვნილება. სამარა, მაის. 22. სურსათის მომარაგების გამგეობის ყრილობამ შესაძლებლად სცნო ცენტრისთვის 10,000,000 ფუთი პური გაგზავნოს. კიევი, მაისის 22. ხარკოვის მეზობლად ესერებმა—აქტივისტებმა განაცხადეს გრიგორიევთან ბრძოლის აუცილებლობა რევოლიუც. ფრონტის კომუნისტებთან გაერთიანებისთვის. მოსკოვი, მაის. 23. მოსკოვში დაიწყებს გამოსვლას ყოველთვიური ჟურნალი „რევოლიუციონური ესპერანტისტ“-ი. ჟურნალი გაარჩევს საერთაშორისო ენის საკითხს. უკანასკნელი ცნობებით—ციმბირი სამ მთავრობათ გაიყო. კოლჩაკის სამფლობელო ბაიკალამდეა. ბაიკალიდან მანჯურიამდე სემიონოვი მეფობს. ხელთოსტროვი. მაის. 22. ჩრდილოეთში ყველა სადგომ-მყოფები ოლონეცის ფრონტიდან მოაყვანილ დაჭრილ ფინებს თეთრგვარდიელებითაა სავსე. ადგილის უქონლობის გამო მრავალი დაჭრილი ვიბორგში გაიგზავნა. მინსკი. მაისის 23. პოლონეთის გენერალ გელერის ჯარისკაცები რუსეთის ფრონტზე წასვლაზე უარს აცხადებენ. პოლონეთში მობილიზაციის გამო მუშათა და გლეხთა აჯანყება დაიწყო. მინსკი. მაისის 23. ქალაქ ლიდაში, რომელიც პოლონელებმა დაიჭირეს, ყოველ დღე ცარცვა გლეჯაა. ნიკოლაევი. მაისის 23. გრიგორიევის ავანტიურის დამარცხება გრძელდება. ჩერკასკთან ბრძოლა ძნეპრის ფლოტილიის დახმარებით გრძელდება. სად. ბობრინსკაიას მიმართულებით წითელმა ჯარმა ცვეტკოვო დაიჭირა და მტერი 10 ვერსზე განდევნა. ხარიტონოვის მიმართულებით ჩვენ სადგ. ჩიპოვეცკი დავიჭირეთ. სადგ. ლიპოვეცსთან გრიგორიევის ბანდები ტყვეთ წამოვიყვანეთ. ჩვენი ჯარი გაისინს უახლოვდება. ბოგუნკა ხრისტინოვკას მიმართულებით ვენკოვკა და დაბა ხრისტინიანი დავიჭირეთ. აქ ჩვენ სამასამდე ტყვე წამოვიყვანეთ. ჩვენი ჯარი სწრაფად ელისავეტგრადს უახლოვდება. გრიგორიევის ნაწილები უკან იხევენ. ნაწილი დაშლილია, ცალცალკე პოლკები წითელ ჯარს დელეგატებს უგზავნის. წინააღმდეგობა მხოლოდ სად. ობადოვთან გვხვდება. მოსკოვი. მაისის 24. ს. ც. ა. კ. ცნობებში კამენევი აღნიშნავს, რომ პეტერბურგის მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ მას იმედი აქვს, რომ თუ ენერგიულ ზომებს მიიღებენ პეტერბურგს დაიცავთ.

ინგლისური რადიოს ცნობები.

ავსტრიისთვის საზავო ხელშეკრულება ალბათ სამშაბათისთვის იქნება მზათ. ფიქრობენ, რომ წინაწარ 3 რომებს კონფერენციის საერთო სხდომას წარუდგენენ ოთხშაბათს დილით. შემდეგ იმავე დღეს ნაწყვეტებს ავსტრიის დელეგაციას ჩააბარებენ. ეს ხელშეკრულება თითქმის იმეორებს, რამდენიც იყო გერმანიისა.

ოთხთა საბჭომ ნახევარი დღე რუსეთის საქმეებს მოანდომა, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც ვერ გამოიტანა. სინამდვილეს არ შეეფერება ის ცნობა, თითქოს კოლჩაკის მთავრობა მოკავშირეთაგანს ცნეს ეცნოს. ამერიკა აპირებდა მათთან სათათბიროდ როლანდ მორისი გაეგზავნა, მაგრამ ამაზე ხელი აიღეს, რადგან ეს კოლჩაკის მთავრობის იგივე ცნობა იქნებოდა.

ხანგრძლივ მუშაობის შემდეგ ოთხთა საბჭოს კომისიამ ოსმალეთის შესახებ მრავალი საკითხი გადასწყვიტა გარდა ერთისა: ამერიკისთვის მანდატის გადაცემის შესაძლებლობის შესახებ. ყოფილი ოსმალეთის იმპერია აღარ იქნება როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მესოპოტამია და პალესტინა ინგლისის ხელში გადავა, სირია საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ იქნება. მცირე აზიის ის ნაწილი, რომლის სანაპიროები ბერძნებითაა დასახლებული, საბერძნეთის პროტექტორატის ქვეშ იქნება. სომხეთის საკითხი ჯერ ჯერობით ღია დარჩა. იტალიამ თავი გაანება თავის მოთხოვნილებებს და სხვა საკითხებს მიაქცია თავისი ყურადღება. ვილსონი კვლავ არ ეთანხმება. კრიალონს (?) ექსპერტმა ამას წინად სურვილი გამოსთქვეს, მიიღონ ინგლისის წინადადება, რომ სულთანი ოსმალეთში დასტოვონ. ვესტერმანი და ამერიკის სხვა ექსპერტები წინადადებას იძლევიან მისი რეზიდენცია ბრუსაში ან კონიაში გადაიტანონ. სტამბოლის და მის მიდამოების საკითხზე შეთანხმების სიძნელე იმის შედეგია, რომ ვილსონი გაბედვით არ თხოულობს მანდატის ამერიკისთვის მიცემას. დღეს ისეთი აზრი დაიბადა: ევროპაში მშვიდობიანობის დასაცავად სტამბოლი და სრუტეები ამერიკის კონტროლის ქვეშ იყოს, ეს გაადვილებს საკითხის გადაწყვეტას. წინადადება იყო, რომ ამერიკის მთავრობამ ეხლავე დანიშნოს იქ ადმინისტრატორები, რომლებიც პირდაპირ ხალხთა ლიგის წინაშე იქნებიან პასუხისმგებელნი. მანდატები კი შემდეგში იქნება მიცემული. ამერიკის დელეგაცია ამზადებს აგრეთვე მორიგენტსულ პროექტს იმის შესახებ, რომ ამერიკის ზედამხედველობის ქვეშ იყოს მარმარილოს ზღვის ოლქები, მათ შორის სომხეთი, ანატოლია და ყველა ის ოლქები, რომელნიც სულთანს რჩება და რომელთა ოსმალეთისთვის 25 წლით დატოვება ითხოვეს ოსმალეთის გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

კოლჩაკის წარმომადგენლები სცდილობენ, რომ საფრანგეთმა მათი მთავრობა აღიაროს. ამას თანხმობით უყურებენ, თუმცა იმაზეა დამოკიდებული—ძველებურათ გაიზრდება თუ არა კოლჩაკის ძალა.

მატარებელი გერმანელთა სტამბის ყოველივე მოწყობილებით ვერსალში კვირას მივა იმ კონტრ-წინადადების დასაბეჭდათ, რომელსაც მაისის 29 გადასცემენ მოკავშირეებს გერმანელები.

ოთხთა საბჭომ კოლჩაკის მთავრობა არ ცნო, მაგრამ მორიგება მოხდა, რომლის ძალით კოლჩაკის ძალა უფლება აღიარებულია იმ ადგილებში, რომლებიც მის ხელშია.

ყოველ დღეს ხმარობენ იმისთვის, რომ აიძულონ ამერიკა დაეთანხმოს ოსმალეთის მანდატზე და იმ პროექტზე, რომლის ძალით მის სამარგებლოთ დაიწყება პროპაგანდა.

გერმანული რადიოს ცნობები

სპაიდან იუწყებიან, რომ პარასკევს შეიდემანი მინისტრ ლანდსბერგისა, ბელლის და ერცბერგერთან ერთად სპაში მივა. მოლაპარაკება მთელი დღე გრძელდება და პარასკევს საღამოს ისინი ისევ უკანვე უნდა დაბრუნდნენ.

გერმანიის წინადადებების უკანასკნელი რედაქცია სპაში მოხდება. ამიტომ შესაძლებელია, რომ გერმანიის კონტრ-წინადადება 29 მაისისთვის იქნება მზათ.

უკანასკნელ ხანებში პოლონელებმა ისევ დაარღვიეს დროებითი ზავი. კემპენის ჩრდილო-აღმოსავლეთით სადემარკაციო ხაზის აქეთ მხარეზე მათ მრავლობითში ორი საწყობი დაიწყეს. მარიენბურგის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანიის მზვერავებმა ისინი შეიპყრეს ცარცვის დროს: მათ გაიტაცეს აგრეთვე ფურმა, მარკონინის სამხედრო დასახლებიდან და აირიოდის ქალაქის თავი წაიყვანეს. პოლონელებმა პოლოცინგენის ზემო სილეზიის და პოზნანის ფრონტზე ჯარები გააძლიერეს. აგრეთვე შეამჩნიეს, რომ პოლონელები საფრანგეთის რუხ „ბლუზებში“ და ფოლადის მუზარადებში იყვნენ.

[illegible] სტამბა [illegible], [illegible]. № 1.